

19001  
2

ქართული მთხილწი

წმინდათა და სწუთათა აღმოსავლეთისა ადგილათ,

ტიმოთეოსგან

ქართლის მთავარეპისკოპოსისა.

2001.

წიგნსაცემი

11

ქ. ქუთაისი  
4 მაისი 8  
208  
დაბეჭდილი

თფილისს.

სტამბასა შინა კავკასიის ნაშესტნივის კანტელარისსა.

1852.

ბ. რ. მ. ა. ნ. ე. ბ. ი. თ. ა.

კავკასიის ნამესტნიკის კნიაზის მიხაილ სუმენისძის  
კორენტოვისა.

მ ა თ ს    ბ რ წ ე ი ნ ჟ ა ლ ე ბ ა ს

კ ა კ ე ს ი ა ნ ა მ ე ს ტ რ ი კ ს ,    კ ნ ი ა ზ ს    მ ი ხ ა ი ლ    ს ჯ მ რ ნ ი ს - მ ე ს  
ვ რ რ ნ ტ რ კ ს ,

მ ა თ ი ს ვ ე    ბ რ ძ ა ნ ე ბ ი თ    ა ღ ბ ე უ ჯ დ ი ლ ი .    წ ი გ ნ ი  
ე ს ე ,

ს ა გ ა ნ

ე მ დ ჳ ნ ი ს    უ მ დ ა ბ ლ ე ს ა დ .

10 მ ა რ ტ ს    1852 წ ე ლ ს ა  
თ ი ფ ი ლ ი ს ს .

ჩაოდენ მშუცნიერ-არინ მთათა ზედა ფეკენი მშუ-  
დობისა მაუწეებელთა და კეთილისა მახარებელთა.

ქაკასი

ისაია 52. მუხ. 7.

## წინასწარტეულობა.

მწერალი წიგნის ამის ტომთე, იყო ქართუტლი, გუბარით გაბა-შული. აღიწარდა იგი კათოლიკოზ ბესარიონთან, რომელმანცა დაიპურო საჭე ეკკლესიის განმგეობის თურქთა ჟამსა, შემდგომად განდევნისა ჰატომრად ტუნედოსისა ჰალაჰში კათოლიკოზისა დომენტისა.

ოდეს, კითარ, დასადა განვლო ხარისხნი მონოზონებისა, არა მსჩანს წერილთაგან. მხოლოდ გუწეი მქტლთა საქმეთაგან უწმინდესისა რუსეთისა სინოდისა, სადაცა განვკლე მე არი წელი მსახურებისა (1), რომელ წარგზავნილიყო იგი იმერეთით რუსეთად 1738 წელსა ხარისხით ქეთათელ მიტროპოლიტისა, იმერთა მეფისაგან აღექმანდრე გიორგის-მისა დესპანად წინაშე იმპერატორცა ანა ივანოვისსა. მისრულმან სანკტუტეობურდსა მიართჳა არზა უწმინდესსა სინოდსა ივლისისა თთუტსა 1738 წელსა და ითხოვა, რათა მსტენ მას ნება უსისხლომსა მსწტრბლისა შეწირვსა (2).

სხვსა საქმისაგან, სახელდობ თხოვისა-მეობრ ქრისტეიფორე წილენელ მიტროპოლიტისა (3), მსჩანს, რომელ ესე ქრისტეიფორე 1764 წელსა, ეკედრა არზით სინოდსა, რათა შემთხტვისა-გამო გარდაცრუალეებულისა ამავე წელსა ივლისის თთუტში ქალაქსა ასტრახანს ტომთე ქართუტლთ მიტროპოლიტისა, მიმსტენ მას მისი ადგილი.

(1) 1843 ღ 1844.

(2) 1738 წლის არხივისა № 360.

(3) საქმე 1761 წლისა № 196.

ამა საქმეთაგან მსჩანს, რომელ ზირჭელ მოგზაურობისა საბერძნეთად, ტიმოთე იუო რუსეთსა, კითარტა მღვდელ-მთავარი ქეთისისა და შემდგომად დაბრუნებისა რუსეთით, კითარტა თუტა მსწერს <sup>(1)</sup>, მიიღო მან კათედრა მთავარ-ეპისკოპოსობისა, რომელიცა იუო ზირჭელი შემდგომად კათოლიკოსობისა; და ჟამსა განდევნისა ქართლით რუსეთად დიდისა კათოლიკოსისა ანტონისა ლათინთა ეკლესიისა თანხმობისათჳს, ესე იგი 1754-სა, ამანცა ტიმოთემ, კითარტა თანადაზრდილმან მისმან, ლტოლჴა ჰყო საბერძნეთად და კჭგონებ უნებლიეთ განუშორა ეპარქიასა თჳსსა, ანუ მიზეზითა მით წყენითითა, რომელ არ მას, უპირჭელესსა იერარხსა, მიენდო განმგეობა კათოლიკოსობისა, არამედ რუისისა არხიეპისკოპოსსა იოსებს.

შემდგომად ზალესტინისა და საბერძნეთისა მოხილჴასა, უკუძოიქცა ქართლადკე 1757 წელსა, და დაშთენილმან უეპარხიოდ, აღირჩია სადგურად დავით-გარეჯისა უდაბნო და იწოდებოდა, ანუ უწოდებდა თუთ თავსა თჳსსა, იერუსალიმელად <sup>(2)</sup>.

როადენტა წელთა დაჰყო აქა, არა მსჩანს. მხოლოდ დღესცა არს მას მონასტერსა საფლავისა მისისა ქუჩა, თუთ მისგანვე განშზადებული; და დღესცა მმათა ამა უდაბნოჲსა უწეიან მტკიცედ, რომელ მთავარ-ეპისკოპოსი ტიმოთე, რომელმანცა შეიმზადა თჳსდა ქუჩა საფლავისა, არა არს მუნ დასაფლავებული.

შემდგომად, წარსრული რუსეთად, მივიდა ასტრახანსა და გარდაიტჳილა მუნ თთუჭსა ივლისსა 1764 წელსა.

<sup>(1)</sup> იხილე ამა მისისა წიგნისა გუჭრდი 42.

<sup>(2)</sup> გუჭრდი 9.

წიგნისამან ამის, აღწერილისა მისგან, მსჩანს, რომელი იყო იგი კაცთ განსწავლული; მოესმინა კაციდობიან, დიანა ლეკტევა და კაპიტანი პრეკლე დიადობისისა, მის ქაზიხსა: მტენიერებისა წიგნი და აღმოკვებისათს სიბრძნისა წუხრონი. — დიდად იყო დახელოვებული სამღრთოთა შინა და სეკულესიოთა წერილთა და კმეოვებ, თანა-მოწაფეცა კათალიკოსისა ანტონი პიტეშლისა.

ესწავა მტირედ ბერძული (6) და უწყოდა კარგად ენაჲ თათრული (7).

წიგნი ესე, შემოწმებით ორთა სხუათა ესე ვითართა თანა-ვე, დაიბეჭდა თანხმად ამჲ მუშელისა დედანისა, რომელი-ცა კმეოვე გარდაწერილი 1787 წელსა (8), თელავის სე-მინარის რეკტორის დავით ალექსის-ძისა კელითა (9).

(6) გუშტრი 63.

(7) გუშტრი 44.

(8) ქორონიკონსა უოე.

(9) უკანასკნელსა ფურცელზედ ამის დედანისა, რომელიცა ეკუთვნის დეისტვიტელის სტატსკის სოკეტნიკს თავადს ნიკოლოზ იოსების-ძეს ფაღაგანდოვს, ესრეთ იყო თვით მწერალისაგან მიწერილი :

ესე წიგნი ვაბა-შვლის ტიმოთე მთავარ-ეპისკოპოსისაგან გაკეთებული, მთაწმინდისა და იერუსალიმისა და სხუათა ადგილთა მოხილვება, რომელი თვით ესილვება, უოეელივე აღიწერა და ესთა წიგნად ექმნა. ხოლო მე მადლაკეთილ-მოხილვან ალექსის-ძემან, სრულიად გასეთის საშეფოთს, თელავის ქალაქს რეკტორ-მან, ფილოსოფიისა და ღმრთის-მეტეუშტლებისა მოძღუარ-მან დავით ალექსწერე წიგნი ესე გარდაწესსვთ; და ვინცა ამისგან კითხვთ და ამისსა შეტეობით ირგოთ, ღოცნუ-ჭყავთ ჩემ მშრომელისათს.

აღიწერა წიგნი ესე თთუშსა მარტსა, რიცხუსა აა, ქორონიკონს უოე.

მადლაკეთილ-მოხილვი ალექსის-ძე რეკტორი დავით.



გუჩრდებზედ აქენდა ამას უძმულესსა კელ-წერილსა, გარდანუსხულსა ოც-ოცენ წელ შემდგომად გარდატეხილუბისა თუთ ტიმოთესსა, — მტირედნი შენიშუნანი; და ესენიცა აქავე დაურთენ სხოლიოდ. სხუნანი ესე-გუჩარნი, რომელნიცა ვპოვნე ჟეროვან-სასარკებლოდ მკითხუჭლათათუხ, განსამარტებულად და დასახსნულად რაოდენთამე სიმნელეთა, ჩემით დაურთენ.

ვიმედეულებ, რომელ მკითხუჭლნი ამა წიგნისა, ჩემთა ამათ შენიშუნათა, მიიღებენ არა განკიცხითათა უურადლებითა.

პლატონ ეგნატის-მე იოსელიანი.

10 მარტს, 1852 წელსა  
ქ. თფილისს.



სამარად სავანებელ ჩემდა იუენეს, თუ ვითარ არა სს-  
 ზღუტვო იუოსსენასათვს მორთუქს სიტუქათა და კქალად  
 დასსნალობათა, და უდებად (') ცხვრებულთაგან არა  
 შესამგზავს არს ტუივილთ-მოუქარებით მოსწრაფებას სამ-  
 დეთოსა რასმე და დქთიუ-შუწნიერთა გამოცხადებანთა  
 მითხრობას; და არცა თუ კმა-უოფად სიტუქათა ქებისათა  
 მიმოგონეთა ვერ შემძლეთა და უღონობათა ენისათა და  
 მრავალ-მდეღუარისა სოფელისა გულის-სიტუქათა მომ-  
 დებთა ესე ვითართა. ვითარცა არა სტონოდის გამოთქმად  
 უზესთაესთათვს, რათა არა ვითარცა ლადსა და კანდიერ-  
 სა განმზადებული რისხუა და მჯრის-ხალქა მოატუქუს  
 თავსა; არამედ უმჯობეს, რათა დუმილით განკლავს ასხა-  
 რეზი საწუთოსა, ვითარცა მე ესერა კანდიერად და ურია-  
 დად ხელ-ვჭყავ სამღრთოთა ლექსთა განმარტებად მონა-  
 ზონებისა სსასა უღირსმან ტომოთე იერუსალიმელმან;  
 რამეთუ მიზენადგმა ამათოვს ესე, რამეთუ მწუჭვდა ში-  
 ნაგანთა ჩემთა სიუქარული მშობისა და ერთ-სულობისა  
 ქუჭყანისაგანთა ჩუწნთა, და ვქალად დავიწუებისათვს  
 მათგან მხერობელობისა წმიდათა ამათ ადგილთადა. ამის-  
 თვს მელმოდა, თუ ვითარ მეფენი საქართუქლასანი  
 ჟამთა მათ შინა მეზატრონე და მხერობელ-სრულად

(') სხუა მანუსკრიპტში ანუ კელწერბში, უდბად. ზ. ი.

იერუსალიმისა და ჰალესტინის ქმნილ არიან; და მალე და ძლიერ უოფილ არიან ნათესავნი საქართველოსანი, და ესოდენ დაკნინებულ-არს; გარეშემოხნი ჩუქნსა მჭერბულნი სიტყუსა რაჲსამე ჩუქნდა მოცემად არა მკადრე არიან. ამან და ესე ვითარმან მიწესმან ლუმილი აღმისსნა, და ვიწყე მტარედთა რათმე წიგნავთა მხსრეკ-მსი-ტუქტლობად, და მიგიბღუნენ თქვენ ბრძენთა და მუც-ნაერებთ განმჭრეტთ სამღროთთა და სამეცნიეროთა საქმეთა. ვითარცა საზაერთთა მშათ-მოყუარეთა და მდუმრიად მიმტკეპებელთა ხილულთა ანუ სმეილთა ცნობათსა. შედგომილთა სახისაებრებისა კაცთ-მოყუარისა ღუთისათა მამათა და მამათა სავსებანსა შორის საქართველოსათა ღირსად ხსენებულთა და სარისპთა მეცნიერებასათა მდგომარეთა სამღქდელოთა და საერთათა ამ წიგნავასა აღმოკვათს ქელთა გევედრება, რათა მოჭეოთ ყური სიტყუათა ჩემთა ზედა, რამეთუ წარვედ იერუსალიმად და მთად წმიდად სამღქდელოთა მათ წმიდათა ადგილთა, და ვისა-ლენით და აღმოვიკითხუნით, ჰარმარავლობით ნაღუნნი მამათა ჩუქნთა ქართველანთა, და ივრიად განკვრუჭბულ ვაუკ მათთჳს; რამეთუ იგავადცა არა მშსმეროდეს ესენი, რადენიცა მე აქა მათთჳს აღვწეენ და აქა მოსრული ქართველი ვანმე რაჲსათჳს ამათთჳს არა გამოიძიებდა, და აღვწერენით, რადენიცა შევიტყუებით იერუსალიმისათჳს და მთაწმიდისა და სსქათა მანსტერათთჳს, და ადგილათთჳს საწამებელისა წმიდათა მოწამეთასა და საადურთათჳს ღირსთასა; და სსქათა მრავალთა ადგილთა ამბავნი ხილულნი, და ანუ სარწმუნოდ სძენილნი, აღვსწერენ. სსქანი მამათა მიერნი სწავლანი დაკარგულნი საქართველოთა შინა, მოვიძიებთ და აღვსწერენით, და

ზოგნი რამე ვიუგბილ-მეტყუტელები მსწავლანი, დჯრისა ვერ განმტდელმან წყქლისა და ზრახხუა რამე აღმოკმსთქუ; ამის-  
თუ სწად, რათა ჩემებრ უგბილთა სხმარად და სხუანი  
ზოგიმე უმადლესი ძალისა ჩემისა რამე ღუთის-მე-  
ტყუტელებისათუ და სამღრთოთა სჯულთათუ ვისიტყუტ  
და არა თუ თავით ჩემით შეკაწუეკ, არამედ ბრძენთა  
უზესთაესთაგანთა მეტნიერთა მიერ გამოკვეყანი, რამე-  
თუ ვიუგ მრავალთა ქუტყენათა მხილუტელ და მრავალთა  
ბრძენთა და თუილსოთუისთა თანა-მოამზრახუ და ამათ  
მიერთთა ვითხუთა და განმარტებითა და კაცთა სულიერ-  
თა და სარწმუნოთა სულთა უწუებითა აღესწერენით. მა-  
შინ ესენი სარწმუნოდ და ქრისტესში სსოებად განკმარ-  
ტენ მუჯდობისათუ და სიუჟარულისა და ეგრეთ წარუ-  
გხავნე საქართუტლოსა. ამისთუ გუკედრებთ უფულთ  
ჩემთა ქრისტეს-მოუქარენთა სანართუტლოსაგანტ, რათა  
მიმთხუტვისათუ და აღმოკითხუსა შენდობისა თქუტნი მიე-  
რისა წილ ექუტდრება არა ბოვადო; ამისთუ ვამიშუ და  
წმიდასა ტოკრებსასა თქუტნისა ზემოკვედრებ მტირეთა  
ამათ სიტყუტათა ჩემთა, რათა არა უგულებელს ჭყოთ.  
უკეთუ სულთა შესამატე სიტყუტა იხილოთ, შენდობასა  
ჭყოთდეთ სიუქარულისათუ მისისა, რომელმან სისსლი-  
თა თუითა სუგუნთა ხსნა მოკუტანიჟა, და უკეთუ ტო-  
მილად საგონებელი რამე იხილოთ, ზარუტლად ღრმად  
განმხჩხრიკეთ მეტნიერთა, და კუალად უკეთუ ტდომილვე  
იუოს შენდობასა ვითხოვ; რამეთუ არაგან არს უტდომელ  
თუნიერ ღუთისა და მე მას ჟამად, სარწმუნოდ ირწუ-  
ნეთ, არაგან უწუოდი უმეტარი და ტოდული ჩემებრ; უო-  
კვლთა უგინესი ვიუგ, რამეთუ მას ჟამსა შინა უბრძენ-  
სნი საქართუტლოთანი სსუდურით და მადმოკონებთა

განმარტვებდეს სწავლის სიტუჟათა და ეგრეთ ასწავებდეს ერთა, და უმეტარნი სამღრთოთა მცნებათაებრ მდაბლად მდარტვობდეს და ორნივე ესე სასუიდელსა მოისთჳლიდეს; ხოლო მე ორთაგანვე დავდემულ ვაქმენ, ნუ უკუჭ კეთილად აღმოვსთქვ და დუმილით სიმდაბლისგანცა ბაძოვესჯ. აღვსწერენით მანდობილმან ღირსებათა თქუცნთამან, რათა ნაგულუგვანებისათჳს მომტკევებელ მექმნეთ და შენდობა ცისკროვნებისაებრ გარდაძოადინოთ; ერთტომობისათჳს მომტკევებელ იქმნეთ; თჳსებრიობისათჳს მოწუალე იქმნეთ; სიმკოდოვნ საარებულება ჩემი ილმოთ, რათა თქუცნცა ესრეთთა ძმათ-მოუჴარეთა, ნათელმან ნათლისაგანმან განიჭოთ სიმრავლე მწუგრძელობათა და მუნ წიადტკედ ინახად აბრახამიანთა ცაბლათა მსუფევეთა, უფალმან გასჴასთ სასმელი მუფუდავებელი, და ადგილნი მწუანედნი გაუნჯნესთ სასუფეველსა მკვდრობისა მისისასა, რომლისა არს დიდება უკუნითი უკუნისამდე. ამინ.

---

## მიიხსნება თფილისათ ათონისა მთადმდე.

შანადის სისურვეოდ და სწადად დავიდევ ოქალთა გონებისა ჩემისათა, უღირსად ცხოვრებულისა ამის თავისა ჩემისათს ლტოლუა ვინაჲმე. ვქალად და ცვრთ მძიმეობა ბრალეულობათა ჩემთა სამარად-სენებად, რათა მომივიდოდეს. ამისთვის მწირობად და უცხოებადმი წარსულის ხელ-უყოფად ვისწრაფდი და აღსულად წმიდად ქალაქად იერუსალიმად თაყუნის-ცემად ცხოველს-მყოფელისა საფლავისა უფლისასა, და მთად წმიდად და მთად სინად, მოხილუად საცხოვრებელთა მათ და სენაკებთა წმიდათა მამათა ჩუწნთა და ალაგებსა მას წმიდასა, ჰირ-მარა. და დებად კვარცხლებესა მას ღვთისა განგებთანსა და მათ შინა ცხოვრებულთა მამათა შევრდომად ადგილის-მცესელთა წმიდათა მამათა ჩუწნთასა. რათა განცდითა და კურთხევითა მათითა რუდუნებელი და უდები ცხოვრება ჩემი მიწულებელი ცოდვთა განკადვითა და მით საარებელი თავი ჩემი ნუგეშეულ ვჭეო და ვირჩიო მე მივრდომა სახლსა ღვთისა ჩემისასა, არამედ სასურჯ საწადისა ამის ჩემისათს, ჯერეთ მოცალეობა და ჟამნი არა მომეგნეს.

ხოლო წელთა 175-ი, ოდეს განაგებდა საქართველოსა ცხებელი ქრისტეს-მოყუარე მეფე თეიმურაზ და პირ-მშო სახელოვანი მე მათი ღვთის-მშსახური მეფე საქართველოსა უფალი ირაკლი, მომხსენებელ ვიქმენ მეფობისა მათისა და ვიჯემენ მუნით და მათ მიერითა საბოძრითა და ქარტითა განმტკიცებისათს უცხოებად შორს მგზავრობისა ჩემისა კმა-საყოფელი ადვილეთ და მოვი-წიენით სამცხეს ქალაქსა ხალციხესა, სახლსა ივანე ათა-

ბაგისასა (²), და წსტნეს რა მისჯლა ჩემი, კაცნი მო  
გუბგებნეს და განკვამზადეს სავანენი და სასრლონი უკ-  
რისაებრნი.

ამისა შემდგომად მიგვწოდა ფაშამა სადგურად და  
სრად თვისსა და გვთავაზს წესისაებრ მათისა თათო, იფე-  
რითა ნუგეშიათა, და კაალად სხქასა ჟამსა მიკედით და  
ვსრასკუდათ უზისა სქლისათჳს უმჯობესსა და იგი ზღუთ  
დაამტვიცებდა მგზავრობასა ჩქცნსა, და აღგვწერნა თურქ-  
თა ენათა ზედა ეპისტოლენი კონსტანტინოპოლედ, ერთი  
ხელმწიფესა სულთანთან (³), და ერთი ვეზირთან და  
კარის კაცთა თანა სხუა შეწუნარებისაჲს ჩქცნისა და  
პატვიისა და წარმოგუჲტანა ბეგი ერთი თათარი და წიგ-  
ნები კმასაყოფელი და წარმოკედით ახალციხით და მო-  
ვიწიენით მონასკოერყოფილისა წარზმას ( ) და გარე-  
მო სოიფლებსა მისსა; დღესასწაულსა ამაღლებისასა მუნ

---

(²) ამა ჟამსა იყო ფაშად სულეიმან ფაშა. გუბარით გურული  
აზნაური ნიამე შემდგომად დიდისა პამსახურისა კვ. ცნის  
ტურქობიდათ აღჭურვილი ფაშად ასაღციხისა. — ესე ბრძანეი-  
თა სულთანისა ოთმან მუსაფისა მოშობილადიქმნა მეკობრო-  
ბისა მარხუით შის დროს გურიისა მთავართანა, რომელსა ეწო-  
დებოდა სუპონ. 3. ი.

(³) ოთმან III რომელიცა მეფე აბდა 1754-გან 1757 წლადმდე.  
3. ი.

(⁴) ადგილი ესე უპერიეს დღეს თურქთა; მდებარებს ახლას  
უჭლების ციხისა, რომელსაცა ძეჭლად ბერძენნი უწოდებდეს  
Тирокастра, ჳ რომელიცა შოფისსეუე წიგნისა შინა ჩემსა აღ-  
წერილსა რუსულად: *Историч. состояніе Грузии подъ  
властію царей Могометанъ Тифлискъ, 1819* — стр. 13. —  
ახლას ამა ციხისა მთასა შინა. არს მონასტერი, რომლისა-  
თჳსცა ქსქერს ვახუშტი, რომელ იყო იგი მისს დროსცა გა-  
უქმებული. შერობანი ამა მონასტრისა დღესცა ისინაღჭზბანს

განვიხილოთ და კარდაველოთ მთა აჭარა და კვლავ ოთხ  
დღე და მოვიწიოთ მდინარედ ჭოროხად და ძივრადგან  
ზღვსა ნაპირსა ყსასბასა ბათუმს და დავუყოვნოთ მუნ  
დღენი ათორმეტნი მიეზსა ნავისსა და მოწყვლებასან  
ღუთისამან ინება ჰავა ბოროისა კეთილი და გეჭმავა ნაგონა  
მარჯულებ; შთავსხედათ მმადლობელნი მწირთა ხელისამა  
ჰერობელისა ღუთისანი, დღესა მეერგასესა მოსკლასა  
სულისა წმინდასსა და დავუდენით სხედნარნი საქარს  
თქვლასანი, და ზღვათა შინა და წყალთა მრავალთა;  
შევედრებით სულნი რქსნი უფალსა, და კვლავ ას  
რძობდა ღთა ძალიანი დღე და დამე, და გამოვლეთ  
ორიზა მქვლადგან თქმული საქართქვლასა სამსდურად,  
და მოვიწიოთ ყოვლადქებულსა ტრანკსუნტსა ტახტსა  
და სამყოფისა ბერძენთა მეფეთასა, ადგალსა შეძობალ-  
სა თუთა-სასათა სიკეთათა, ზღვთა და მთათა და გარდა  
ვხედათ რა ზღვთა წარვავლანეთ არხადაკონი რქსნი წია  
ნაშე მიტროპოლიტისა მოკათხედა და მასტა ებომეს  
მღვდელი მოკითხავა რქსნი, და მიგვძღვა ზღვსაგან  
დამამკრალთა სრასა რასმე ტერფად ნაგებსა და ბაღთა  
და ზღვსა ჰენებისა დაღოთასა ამოდ შესატკევესა; გან-  
ვიხილოთ მუნ რა მჭარესა უნსა, ადგედით ხაღვად ყო-  
ვლად-სამღვდლომას ანანთა ტრანკსუნტისა, ვინა წინა

---

მართლი. ამა ადგილისაგან წარსრული გამასმედიანებული ქარს  
თქვლი ვინაღუ ათონის მთასა. ამა, მრავალთა ქრისტინეთა  
წმინდათა ადგილთაგან გურნებისა გამო განღვებულმას, დაუ-  
ტყვა მამული თვისი, მოილოცა იერუსალიმი, შევიდა ათონისა  
მთასა და ქართუჭლთა მონასტერსა შინა მიიღო ქრისტინობა  
და დაჭბდა მუნ მოწილად სასულით ჰეტრე. დღესა განაგებს  
იგი მუნ მწინსჯელის თანამდებობასა. 3 ი.



მოგეცემს კაცი უფლითა უკუც ქტევითა ზატისანი და შექობალი უცხოთა-მოყარებისა მადლითა მდიდრად აღუ-სილა და ფრიად კეთილად შეგვტყობ და ზედს ზედს გავწყვეტდა ტრანქსად, და ინება ჩუენ მიერ მსხუტრზლის შეწარქა ხარისხისა თხსს საუდარსა წმინდისა გრიგოლი ნ-სელისისა. რამეთუ აა სოფისა ტრანქეზუნტისა და სხუნა მრავალნი ეკლესიანი თურქთა დაუერაეს, და ვაუქენით მენ მდუდელთ-მთავრისა მიერ და ერთა ქა-ლასასაგანთა ფრიადსა ზატისა და ნუგეშინის-ცემასა ში-ნა, მთხოველნი ჩუენ უღარსთაგან მსხუტრზლისა შეწარ-ვას და ააზმისანი, და უცხოებასა ჩუენსა ჟეროვნად შეაწენარებდეს და აღვედით დედად მონასტრად და მო-გეცემენ სულაერი დედა წინამძღუარი; და სხუნა დანი და დედანი ჟერ შემოსილნი კრებულნი გლობითა და კეროვნებათა შეგვმღუნენ და თაუქანას-ვევით ტრანქეთს და ადგილთა მათ წმინდათა, რამეთუ იუქნეს გამოკაფულ კლდისაგან ეკლესია და ხელოვნად შექობილ სადგურ-ნი და სენაგნი მონასტრისა მის, მეფისა ალექსი კომნი-ნისისაგან <sup>(5)</sup>, რამეთუ თუთა მენვე ესასა დედით და პეუდლით და შეგვმღუნენ საეროდ ტრანქესად და დაგვგეს სანოვაგენი და გვამსზანძლებდენ ამოდ და ფრიად ვი-დრემე სარგებელ გუტქმანს ხილქა მათი და მიერიდგან წარმოვედით დაუეოვნებელად სადგურადვე ჩუენსა

---

(5) ამა ალექსის კომნენის, ტრანქეზუნტის იშქერატორის შუდი იონე მოვიდა საქართველოს, შიერთო ცოლად ქალი ალექსანდრე მეფისა. ესრეთ ჰსწერს ბერძენთა მეისტორიე საღკოკონდალა, pag: 216 Ioannes abiens in iberiam. uxorem habuit regis iberiae Alexandri filiam. 3. ი.

ამაღ ჟამად დაგუყუანდეს შუენ ჟამნი ერთისა თთჳსა-  
 ნი და გუჭშოკა ნავი მარჯუტ და აღვედით შენდობის  
 აღებად მიტროპოლიტისა, რამეთუ თრანდცა გჳმნდა  
 განშორებაჲ მისი და აღმღებულთა ლოცუთა მათათა,  
 გუჭშობა საგზალნი გზისათჳს და შთაშოვედით ნკად  
 და ველეთ ზღუთ და განკვლეთ ქალაქი ტრინოლი და მა-  
 ერ მიუწიენით ქალაქად უნიჯად, შუენიერსა მას ადგილ-  
 სს და ქრისტესიანეთა მოგუყუანეს და დაგუესადგურეს სა-  
 სხლესა და ტაძარსა წმინდისა ნიკოლოზისისა და შე-  
 მოკრბეს ერნი და გუამსპანძლეს და შეგუწუნარეს კეთი-  
 ლად და ხმელით გზაჲ აღვირჩიეთ და გუბობნეს საგზალ-  
 ნი და ცხენნი გზისათჳს; და წარმოვედით მაერიდგან  
 მკაღნი ორ დღე და მიუწიენით ნეოკესარაად ქალაქსა  
 და ეკლესიასა გრიგორი საკრეველ-მოქმედისისა და თუთ  
 თჳსლითა ჩუტნითა ვიხილეთ საკრეველებჲ ქმნალი მის  
 მაერ; რამეთუ ქალაქსა მას მოსდის მდინარე დიდი, რა-  
 მელსა უწოდენ მკელსა და განრეუნიდა ნაშრობათა მათ-  
 თა; ხოლო ერნი ევედრნეს წმინდასა გრიგორის  
 მისთჳს; თუთ წარვიდა რა ხილვად მისა მდინარე შორს  
 განაუენ და კუჭრთხი შთაუსუა, რათა იმიერ არღარა წარ-  
 მოვლოს მდინარემან და ეტუოდა სახელებთა ეთელასა  
 იესო ქრისტესითა; ნურდარა გარდახდები ამაერ სა-  
 ზღერით, და არს კუჭრთხი იგი ხე დიდ ეჭმდრე დღეან-  
 დელად დღედმდე, და ვითარცა შექმნებული, ეგრეთ გან-  
 დრეკითა წარკლის მკნადგან მდინარე იგი და წადი, რა-  
 მელიცა აღუეთა მას ზედა. წუჯღი ეთნათგან წარვილტვის  
 უქმად, მდგომარედ იხილუტბის და დამესა ერთსა მქტლასა  
 მას ხიდსა თანა კანკათიეთ და თუთ ხარისხა ეკლესიას  
 კუქალად ქრისტესიანეთავე უმერიესთ და წარმოვედით მაე-

რით და მოვიწიებით კომანად ეწვეუსად სომხითისა; და ვიხილეთ სათელავი წმინდისა მამისა ჩუჭნისა იოანე ოქროპირისა, რაჟამს მუნ ექითრია ჭეჭს და მუნვე აღე-სრულა და არს იქიდგან მტირედ განმორებულად ქალაქი დიდი ეწვეუსო სომხითისა, რამელსა აწ თურქნი თოხათად ( ) უწოდებენ, დამუნ მჯდომარეს უოვლად-სამ-ღუდელო ნეოკესარიისა და ფაბლადონისა; მივიწიებით რა, ვაცნობეთ მისულა ჩუჭნი მიტროპოლიტისა მამისა და მიგვძღვნენ და დაგესადაგურეს სრასა ეკლესიისისა, და ვიხილეთ უოვლად სამღდელო ნეოკესარიელი უფალი გერასიმე და ფრიად ვიდრეჲ კეთილად განგვსუჭნა და მძებრივად შეგვტობო და დაგუყავით მუნ დღენი რაოდენ-ნიმე და გარე ქალაქისა აღკედით და ვიხილეთ მონასტე-რი, აღშენებული თეოდორა დედოფლისა მიერ ფრიად ჰატოსანნი. უბი იყო ავსტო ათხუთმეტი; ერნი შე-ძობებენ და დაგაჩვენეს მსხუჭრბლი საიდუმლოჲსა და ფრიად შეიწინარებდეს უცხოებსა ჩუჭნისა.

აქა ვეძიებდით გზასა იერუსალიმად აღმუქანებულსა და იყო მუნ ქარვანი დიდძალი, წარმსილელი სმირი-ნად (?) და აღკემზადენით წარსილად და აღვიდეთ ლო-ტრბა მღდელო-მთავრისა და წარკემართენით, რამეთუ იყო სამეოცის დღისა სავალი გზა და გვლენით რა დღენი გა-ძობველეთ ქალაქი ამასია, ხარბი წმინდისა ვასილი ამა-სიელისა, რომლისა ხსენებას ვშეუთთ ხარისის ოც და ექისსა და გვძობველეთ ქალაქი ჩილბა და სამწესო კესარია

(6) აქა მოვლეს დიდძო მოურავი გიორგი სააკაძე. *Жизнь Великого Мученика Георгия Саакадзе. Тифлисъ. 1848.* стр. 83. ბ. ი.

(7) ქალაქი სმიონს ანუ იზმირი. ბ. ი.

კაზბადეკაისა, და ოტდა ხუთი დღენა უშენნი თურქმანნი კვლენით და მოვიწიენით ქალაქსა ლეკაონსა, სადა ეწამა წმინდა თეოდორ, რომლისა ხსენებასა ვჰყოფთ ნოემბრის ოტდა ცხრასა, და ქალაქსა მას ახლოდ ახლავს მონასტერი წმინდისა ელენესი, რამეთუ ამას მონასტერსა შინა, აღზდალ-არს ამივალოკე იკონიელა. და ამას მონასტერსა იყო აბანო ბუნებათ ცხელთა წყალთა ვრცლად მომდინარე, ვითარ წასქვლსა კძა-ეუოფოდ საბრუნავად და მუნით კვლეთ და მოვიწიენით საძწესოსა იკონელ-ეპისკოპოსისასა, სადა წმინდანი მოწამენი კვირიკე და ივლიტა ეწამნეს, და იყო მუნ მღვდელთ-მთავარი იკონიისა დიონოსიოს და ქრისტანეთა დიდად შეგვტოპეს და საგზლითა და საბოძქრითა ადგევსეს და მიერიდგან წარმოელეთ; გზასა ზედა ვიხილეთ კამარანი რაამე და მუნ ისხდენ მოლანი თურქთანი და იკითხვდენ წაგნსა, და ვჰკითხუ რა მათოჯს, მეტყოდნენ ვითარმედ ასრადინ მოლის სათლავი არისო მუნ და მას წმინდად ეს-ტნო და განგვჯრდი ცრუმსა მის და მასხარისა მოსაობასა და მიერით კვლეთ და მოვიწიენით მახლობელ, სადა წმინდამან მამამან ხარიტონ მონასტერი ადამენა, რამეთუ ქართ-ტლნიცა მრავალნი ცხოვრებულან მუნ, და მოვიწიენით უშად და მიერ გულა-ყასაზად, სადა იყო მონასტერი მთავარ-ანგელოზთა და მუნ განგვეარენით ქარაჯანსა, და განჯს-ტნეთ ქრისტანეთა-თანა, და მიერ წარკედათ ქალაქად თეოდელეოაჲ, მუნ, სადა დეთის-მეტუქტლი იოანე მიეწერს შჯდთა ეკლესიათა ასიისათა: ეოესოს, სმარინს ანუ არტირას, სარდეს, თეოდელეოფას, ლადიკას. ამა თეოდელეოფას მაკედათ და მოგეჭკებნენ ქრისტანენი და დავუსასდგურეს სრასა ეკლე-

სიისას და კეთილად შეგვტყუებს და ვიხილეთ მიქელი ეკლესია დუთის-მეტეუჭლის იოანესი. ესრეთ მცირედნი სუტნი ღია დაშთობილ იუქნეს და ახლოსდა მუნ კოლასეს შინა არს ეკლესია მთავარ-ანგელოზისა.

ესე არს ზონას, რომლის სახსენებელსა ვდღესასწაულაბთ სეკდემბრის ექისსა. რამეთუ სასწაული ესე არს: წარმართთა მდინარე დიდი გამოჰსთხარეს და მიუგდეს მონასტერსა მთავარ-ანგელოზისასა, რათამცა წარედქნა; ხოლო ქრისტიანენი შეკრბენ კედრებად მთავარ-ანგელოზისა და მოიწია რა მდინარე ახლოს, მონასტერსა არაღარა მომართა, არამედ განხუტელა ქიქში ქიქიანა და მას შინა განულო წყალმან მან. ვადრე დღეს აქამომევე ესრეთ მოსდის წყალა იგი, და მუნ ახლოს არს ქალაქი იგი, რომელსა შინა ეწამა წმინდა მარინა და წარმოვედათ მიერ, და მოვედით შუდთა მათ ეკლესიისაგანსა დუთის-მეტეუჭლისასა სარდელს, სადა იჯდა წმინდა მამა (\*) კეთილა სარდიისა ეპისკოპოზი და იყო სრულიად აღობრებული, ვიდრე მცირედნიდა ნაქტეკნი თუღა დარჩობილ-იუქნეს და კაცნი სრულიად არაღარა იბოებოდნეს და განვათიეთ ღამე ერთი მუნ და ხულისა კვლეთ და მოვაწიენით ქალაქად უსაბად, ქრისტიანეთა თანა განუსუტნეთ და მუნით წარვედით ქალაქად მადნისიად, მიქელთა მეფეთა სამეფოსა და შემეულსა მთითა და ბარითა, და ეუვესოსა ეპისკოპოზი ნათანაილ მუნ მჯდომარე იყო და მიქელი საეპისკოპოზო კოდრატე მოციქულისა და მღვდელ-მოწამისა მადნისისა, რომლისა ხსენებასა ვქვითთ სეკდემბრის 27, და მუნ ეწამა წმინდა მოწამე

(\*) ხსენებას მისსა ვდღესასწაულაბთ დეკემბერის 26.  
ჴ. 0

სარალამა, რამეთუ მღუდელი იყო მუნებური, რომლისა  
სსენებსა ვჭყოთ ფებერქლის 10 და მუნ განუათიეთ  
ქრისტანეთათანა უმნი რადენნიმე და მიერ წარვიგზავ-  
ნენით ზმირინად შუდთა მათ ეკლესიათაგანსა, სადა  
მჯდომარე იყო წმინდა პოლიკარზე ზმირინისა ეპისკო-  
პოსი და ვეკოლე. ესე პოლიკარზე დაიწია ტეცხლისა  
მსახურთაგან დასახამითგან ხეთი ათას ექსას ორმოც-  
და სამსა <sup>(9)</sup> და სსენებსა მისსა ვჭყოთ ფებერქლის 23.

და ვიხილეთ ქალაქი ესე მჯობი უოკელთა ქალაქთა,  
ესრეთ ვათარტა ედემსა შინს სამოთხე; შირად-შირადობა  
შენებულებათა და სწუთოთა ედემებრიობთა გარდაემატა;  
ერთ-კერძო თეთრი ზღქა აღქსილი მრავლითა ხომალ-  
დითა და ნავითა და ანგანი აღმართებულ იუჟნეს ვითა  
ხენი მადნარისანი და ერთ-კერძო მთანი და ძირსა კელ-  
ნი და ჭლანი, ბაღჩა-ბაღითა და წალკოტიოა აღქსილი,  
და ზეთის-ხილთა ტეკანჩაანობა დახშირებულ და ნა-  
რინჯ-თურინჯთა კვზაროსთა და ალვის-ხისა მადნარნი.  
ნიაჭწილილ სელთა ბერქსასა საყნოსელნი გაელადნეს.  
შეკედით შინაგან ქალაქსა, ვიხილეთ სრანი და ჰალატნი  
რცხთო ჩინელთაებრ სერაებულნი, ესრეთ ვითა მაისისა  
ველთა ასუფადელოებნი; და მიკვდქნენ სასახლესა იერუ-  
სალიმის მეტოქისასა და არხიდაიონი ჩუჭნი ვახელით  
მიტროპოლიტსა ზმირინისასა უფალსა ნეოფიტესსა, და  
მასტა დიაკონი თჳსი ებოძა და მიკვდქნენ სრასა მთა-  
წმიდელთა ქართუჭლთა მანასტრისასა და მუნ დაგუა-

---

<sup>(9)</sup> სმირინა ქალაქი, სამეოფო იოანე დუთის-მეტეუჭლისა,  
რომლისა მოწათე იყო თჳთ წმინდა პოლიკარზე და გურგენი  
მოწამეობისა მაილა ქრისტესთჳს დრმაშან მოხუცებულმან  
წელსა 166. 3. ი.

სადგურეს;<sup>(10)</sup> ამას შემდგომად წარკედით და კიხილეთ უოკლადსამღმდელო კატი დიდად პატროსანის, რითა და პლატოთა მდიდარი და კიამბორეთ და მოკვკითხნეს და იუენეს მუნ სხჳანი ორნი ეპისკოპოსნი ჟმნილნი სამ- წესოთაგან, და შეკედით ეკკლესიად კათოლიკედ წმინდისა ფოტინე სამაროტელიისასა და განვიცდიდით თუთო სა- ხეოასა სამკაელსა უცხოთა ეკკლესიისათა, და გვწვა პა- ლატად მღმდელ-მთავარმან მან და განგვმხანდა სერა ბრწყინკალე და პატოეს-გოტა ჟეროვნად და დავადგურით

---

(10) 1849 წელს ვიხილე აქა აჭარითგან ქართუშლი დაუ- ბრკოლებულად ჰ კანონიერად მოუთარი ქართულად, რომელ- საცა შეუპოხა ძონსონიხიის სასე 17 წლითგან ცხოვრებისა თხისა. ამას ჭელოდა ბიძა გაქრისტანეუელი ტრაპეზუნტს, სიდაცა შრომობდა აბნოთა შინა მუშაკობითა ჰ დტოდჯლი იმინიად შიშასათხ მანძიანთა, მიიშალა მუნ ქართუშლთა მო- ნასტრის მეტოქსა ჰ აიძულა ძმის-წული თხსი, რათა მიეღო მსცა ქრისტანობა. — ესრეთ ბიძა მისი, შემიდგომად ქსილი შრომდუქინად სისვე მეტოქისა, 1822 წელს წარვიდა მოაქსინო დასრომელსაცა გარე ედგა თურქთა ლაშქარი ბრძოლისა ჟამსა ბერძენთათა ააღჳსოთიკიულთა ჰ შეპურობილი გზასა ზედა მოკლულექმსა ჰ შთადეუულ ზღუქსა. ამ ღირსსა კაცისა ეწო- დებოდა თოდორე, ძმის-წული მისი დაჰ შთენილი ობლად, სი- გუდილმან ბიძისაინ ქრისტანობისაგამო მოკლულმან, უფროს განსტკიცა სიუქარულსა ზედა ქრისტესსა. თურქთა წარიქცი- ეს იგი თხსა მხსურად ჰ შედგომად 10 წლის მსასურ- ბისა, განჰსვიდა იგი მომხვიდჳლას მისმან სამოსის ტალა- ვის ვაჭარმან სომქსმან. მოჰსცა მას თავისუფოლეა ჰ წარვიდა პირჳშლსა ბიძისა თხსისა სადგომს სმირსასაჟე ჰ აქა შეიმო- სა ამანცა სასე მონობონებისა ჰ ჰიეს მუნ მოღჳწვედ. სა- ხელი ამისი ნუოფიტე მცოდნე ბერძელისა წიგნისა ჰ წერო- ხა დიდად ჰსწუხდა უმეცრეებისათხს ქართუშლთა ენისა მწიგნო- ბრობისა.

3. ი.

იზმირს ჟამ რაოდენმე და იყო მიმდები განკრძალვით ქრისტიანეთაგან ეკლესიას შინა სულაჲ და მხერქულად ვედრებოდა; ხოლო მე ზიარითა მათ სამღვდელთა და საეროთა სამარადისოდ ღოცუას განვეკვრიქმ და ვახილემუნ აკადემიის სათვალისოფოსო და იერათეთოს ივილთსოფოსი მონახონი ვინმე ასწავებდა მრავალთა მუნ შჯლია საგანთა; რამეთუ იუჟნეს იზმირს ბალიონი სათვანგეთისანი და იყო ქალაქი სავანედ მრავალთა დიდკაჭარათა უცხოთა, რამეთუ ნავნი იერუსალიმად წარსრქულ იუჟნეს ჟამნი იუჟნეს ნოემბრისანი და გუასწავეს ვითარმედ, ქაონიად გემოვოსთ ნავნი წარმსრქულნი იერუსალიმად და ადვიდეთ ღოცუაჲ მდკდელთ-მთავრისაგან და მშთესხედით ნავსა წარსულად ქაონიად, რამეთუ შორეკდა ას ოდენ მილიონ.

მაიწიენით მავითა კეთილითა ქაონიად, (11) ქალაქსა ისიადორე ქაონელისასა; რამეთუ დიოკლიტიანემან აწამა ისიადორე მუნ, რომლისა ხსენებასა ვჭეოფთ მასის ათთხმეტსა. ამას ქალაქსა თერქნი საყისად გწოდებენ, რომელ-არს დანამსტაკი, რამეთუ სხუგან არა იშოვეუბის თე არა მუნ; რამეთუ არს ესე ჳალაკი ზღუასა შინა და ვახილეთ ქალაქი დიდად ზატოისანი, სახლნი ქვთა თლილითა შენებულნი და მტკიცედ მოზღუდულნი, რამეთუ არა რა შიში იყო დაწვთა ცეცხლისათა და დავუასადგურეს ქართლთა მონასტრისა მეტოქესა სახლსა და შაკედით და ვახილეთ დიონისიოს უავლასამდრედულო ქაონელი და ზატოის-ცემით შეგვწენარნა. რამეთუ ნავნი წარსრქულ იუჟნეს მუნ და დავჭმითთ ქალაქსა შინა

---

(11) ე. ი. ხიოსის ჳალაკი.



და განვიცდიდით ზიზღობას ქალქისას. გჩქტყოდენ ქრისტიანენა, ვითარმედ ექს-სის არს ეკვლეის დღეს ქალქის ამასო და ბაღათა და ხეხილათა აღქსილი იყო ჳალაკა იგი და ვახილეთ მენ ექსორის ქმნილი ვლახთ შეფე კონსტანტინე. რამეთუ გჩქტუცხოვა ქტევა და სს-მეფიანი ზრდილობანი მისნი და გჩქითხვდა საქართქტ-ლასათჳს და სსქათა მრავალთა საუზართა შევექტეოდით.

ამისა შემდგომად იწვეს კქალად სკამბოლად და წარ-გზავნეს სამეფოდ თჳსად. ამაღ უამად მოაწის დღეს-სწაულა ტაძრად მაუქსნებისა და მოაქსადეს ეკვლეისა წმინდისა ბიკტორისა, და მოაქრეს ხალსად ნაკერნი აჳრდანი კედელ-ურეთა, და სსწად მრავლად შეამკქტს. და აღმებთა ხალსობა და შეფერება საყდრისა ვითარ-აღქსწერო. არს თუ იგი საყდარი, არამედ მრავალნი ერ-თი მეორისა უსაკრქტლესად იუქნეს შემკობილ. ვარ მხილქტლი მოსკოვისა და ჰეტერბურდისა, რამეთუთა შო-რის თავ-წარსხმულად ჰეჩქვას ქრისტიანობა დღეს, და მენ არს მიხილავს ესრეთ შემკობილნი ეკვლეისანი. რა საკრქტლად თქალითა მარმარითა აღმართებულ იუქნეს სწტნი და სედ კამარანი მოჭრილნი უქავალებად და ნახჩებად კედელთა ჳედა მდგომარე იუქნეს სერაფიამნი და ხერუკიამნი მარმარისანი, და კამარეთა ჳედა ფრთე აღბურობილნი ანგელოზნი მტჯრთქტლნი სანთლისა ოქრო-ცქტბულისანი; კედელთა ჳედა ნახუნი მომადლოდ აღმოკუნებლნი და შიკ ხატნი და წინ ხომლის რტოული სსსანთლე და ქქტმედ მამედ ნაკერნი ფარდანი ოქრო ნაშქნი. სსწანი სსსანთლენი ოქრო-ცურქტბულნი შუბივით საჭერნი ხელთა, და სსქანი შუბის თავთა ფარნები ჳი-ქისანი ფერად-ფერადნი და სსწანი საღამანდროსნი,

წინ-საძლოდნი ქორ-კანდელნი და ხომლნი ჭიქასანი. უცხოები სირაქლეძის კუმტრბნი ფერადის ჭიქას და ქაშანურისანი იუქნეს, და კამარებად ჩამოვიდებულნი ეკკლესიის კამარათა შინა და აღანთებდნენ რა, მგზავსი იუო ნამდულ ირისეს; იატკანი ეკკლესიისანი ფერადისა მარმარისანი ჩაწუობით მიჯანდრავულნი; საკურთხეველისა იატკანი და ტრანეზისანი და კედელნი ფერადისა ქაშანურისანი და ხარისხი მადალი საჯდომელი ების-კაზობისა. საღვინებელი ტრანეზისა, ესოდენ მეფუტხოვა, რომელ კერ შეუძლე აღწერად; უცხო რამე ხრახნილები და ზედა გვრგვინი ოქრო-ცურქებულნი და ზედა ჯილითა და თომასითა რაჰთმე მგზავსითა განდგომელ და მართულ. სრულად მათნი ეკკლესიისანი ესრეთ იუქნეს. კანკლისა სიუცხოვე ვითარდა აღუქსწერო; კარის ბუჯნი და გარეთ ეზონი ფერადითა ქვთა ჩაწუობილნი; ხოლო მგალობელნი მათნი არა გალობდენ ბერძულად, არამედ ნოტიოთა იტყოდიან. ამას საყიზის შუა კუნძულს შინა არს მთა მადალი და მას შინა მონასტერი დიდებული, რომელსა აიაშონა ეწოდების. დღესა ერთსა ვიწყეთ აღსულა მუნ, და მოგუარაქნეს ჯორნი და იღუქმინცა მათი თანა გვახლა; რამეთუ შორეკდა ქაშას ორისა სავად, და განველეთ რა შუა გზაჲ მონასტრის ბაღნი და კუნახნი იუქნეს და სულიერი სახილავი იხილუჭბოდა, რამეთუ მონასტრისა მამანი ხენიდენ და ბარჯდენ და ნერგსა ასხმიდნენ და ადველეთ რა აღმართი მათთა შინა, ნამქ-ფიჭუნარანობა იხილუჭბოდა და ტეკრთა მათ შინა ვამაქსჩნდა ბრძენითა დაბურჯული მონასტერი ბრწყინქალე და გაცტოფდნენ, ვითარმედ მდიდარ-არს მონასტერი და მესტლითა სიძდადრითა გარდაცემულ.

ოღეს მისწლა ჩქნნი მსცნეს, ჭერეს ზართა ძლესუ  
რად მონასტრისათა, და მოგუტყუბინენ მამანს ორას ორ-  
მოცდა-ათნი სანთლებითა და კეროვნებითა და მოგუარ-  
თუნეს კუტრთხი და მდინარე და შეგვძღუნენ კმევითა  
სუნს ელთათა და გელობელნი გალობდენ ტკვილად, და  
შევედით ეკლესიად და თაყუანის-ვეცით წმინდათა ძათ  
და აღვედით ხარისხად, და მამან იწუეს შეგვწუალენი და  
მომადლებისათუხ ჩემისა მსთქუტს მრავალ-ჟამიერობა მე-  
ფეთათუხ ჩქნთა და ისობლექტი მრავალ-ჟამიერი ხმა  
ამოდ გუტყუარა და უამბორეთ მამათა და ძმათა და მი-  
გვძღუნენ სადგურად და ვიკითხეთ აღმასუნებელი მისი,  
რამეთუ გუტყუოდნენ ვითარმედ კანსტანტინე მეფემან  
მონარხმან აღაშენაო.

აწ მონასტრისათუხ ვიტყოდეთ. იატაკნი ეკლესიი-  
სანი ფერადისა არღანისა ქუსჯან ესრეთ ჩაწუოთ,  
ვერს ხორანსელი ორხუა ვერ შეეფერებოდა. საუდარი  
არის რუა-კუთხე და იგურდივ ოცდა-თორმეტნი არ-  
ღანის ფერადნი სუტნი უდგას. კედელნი არღანისა  
და ბაღდამის ქუს ფერადისა ხონჩურებ ჩაწუობილი,  
არა თუ კირითა და ღორლითა, არამედ ტუჯვითა ჩასხმე-  
ლი და სპალენმით შემერწილა თაკისის სხუს ფერით  
არშეობითა ვიდრე მოხრილს კამარადმდე; ხოლო გემ-  
ბათნი და კამარანი ელქარის სოფიოს კენჭითა, სსკანი  
ჩაგელ-ქანდებულნი. ხატნიცა ბრწუინქალეს სოფიის  
კენჭით იუქნეს; მისი ელქარება და კამკამნი სამუაროსა  
დღისა ცისასა და ღამისა ლაქარდინისა ფერსა უდრიდა.  
რამეს ჭიქასა და ვერცხლისა ხომლნი აღანთიან, მგზავ-  
სი იყო მთავარისა ვერცხლისა სხისა, და ვარსკუთლავ-  
თს ხელმწიფებად და მნათობად ღამისა მნათთა. სანა

თერთ რა გავსჭერია, თუკადისა წათლასა და უკავი-  
ლისა თლილისა მანისა სინათლე მთაებთა შექმ-მკთო-  
მარეობისა ესახებოდა. კარის ბჭეთა იატაკთა რა გავსე-  
და, მეკონნეს ვითარმედ ოქსინაოათა მათუარდავებათ  
გამოსარეჭნებულად. ვიხილენ რა გავკვრდი: ქუჩანი იუუნეს  
ჩაწეობაღნი; მეუცხოვა სიკეთე მისი, და თაუუნანს-ვეცით  
ცერსა ნათლას-მცემელისასა, რომლითა შეახო თავსა მა-  
ცხოვრისასა და არს თავი მოციქელისა თვალბჭესი,  
თავი მოციქელისა ტამოთესი, თავი დიდისა კვაამისა,  
თავი ეკვენიასა, თემო წმანდისა გიორგისა, თუხი ხა-  
რიტონისა და სხუნანი მრავალნი ნაწიღნი. შმა მო-  
ნასტერის ვიხილე სანწაული სეკვრეშლი, რამეთუ ერთი  
შავი არაბი ვანსაქერდავად შესრულ-არს ეკვლესიასა, ზე-  
თი აუხდა, მოჭკადებია ცეცხლი და სრულიად დამწკარა.  
ცალი მკლავი მორჩენილ-იყო ქერდისა არაბისა და იქ  
მდებარედ ვიხილეთ.

შმა მონასტრისა აღშენებისა მიზეზსა ესრეთ გეშ-  
ტუოდეს, რამეთუ მჯდარა ვინმე მონახონი დაუედებუ-  
ლი მუნ და აწ სადა ტამარი ჭსდგას, მუნ უხილავს ნა-  
თელი. მრავალ გზის წარსრულ-არს დაუედებული იგი  
და უხილავს მუნ ხატე უოლად-წმინდისა, და სმენის  
ესე შეფეს კონსტანტინეს და ამისთვის აღშენებისა მო-  
ნასტერი იგი. ის ხატე აწცა დიდას სასოებით უსრეშ-  
ნათ მუნ და გეშტუადენ მამანი, ვითარმედ ქართუშლი  
არა ოდეს გვხილავსო და არცა ენა გუნსამეოსო; აწ შე-  
ჭსწირეთ მსხრეშლი სადუმლომას; მე უარა მოვანსე-  
ნე, არამედ თრიად მევედრებოდეს და შეკმწირეთ უ-  
ღარსითა ბავითა საიდუმლო და მათცა ვაწირვინეთ შეფე-  
თა ჩუშნთა. წარსამართებულად და განგვმხადეს ტაბლა

მშუტნიერი და განკათიეთ რა მენ ქაშნი რაოდენნიმე,  
კეზლად ქალაქად საუისად სადგურად რეშენდა მოვიწიე-  
ნით, ლოცვას მოძღვბნი მათნი და მძადლობელნი დეჟითი-  
სანი.

აქა ყოფსას რეშენსა მოვიდა ამბავი რამე საკვრეშლი,  
რამეთუ წმინდა სთერიადონ საკვრეშელ-მოქმედი მრთლივ  
წაესქენებიათ კვბრით და მოესქენებიათ ქალაქსა კერ-  
კურას, სადა იჯდა წმინდა არსენი კერკურისა მთავარ-  
ეპისკოპოზი, და მენ სთერიადონ მრთლივ მესავსი ცხო-  
ველისა. მდგომარე-არს ანაფორით და ქედ-ბარტყულით.  
კატმან კინმე ჩაატყა მურ-ფასი შესამოსელი და ხალა-  
სად იხალეს ახალი იგი მდებარედ ტრანპესსა ზედა და  
თუთ მუშლივკე შეემოსა. კეზლად თურქნი შემოადგენენ და  
იხილეს სთერიადონ, მოსურნიდა თურქთა მათ და წარიო-  
ტებდა. ამისთვის დღესასწაულსა დიდსა აღასრულებენ მენ.  
კეზლად მოგეშმა ვითარმედ, ქალაქსა მას კერკურას,  
მხმობელმან იხახა ვითარმედ, შეიწრდა ქალაქი ესე სა-  
ზრდაოსაგან და უცხოებად მოსრულნი ნურდარა დაადგრე-  
ბიან, წარვიდენ აქედამ; ამისთვის შეიწრდენ მრავალნი  
ქურიენი და ობოლნი წარსულისათვის; ხოლო იხალეს  
ღამესა მას, რამეთუ სთერიადონ არდაზა იუოფების მენ  
და მრავალი ემაეს და ვერ მხოვეს; ვინატა მწუემსმან მან  
კინმე ცხოვართამან იხილა მათათ შინა წმინდა სთერი-  
ადონ, დავარდა და თაუჟანიშსტა. ხოლო სთერიადონ  
ეტყოდა ვითარმედ ქალაქით გამოდევნეს, რამეთუ მეცა  
მწირი ვარ და უცხო, კვბროსიადამ მოსრული, სადაცა  
ეგენი ქურიენი და ობოლნი წარჴლენ, მეცა წარვიდე მი-  
ერ, და წარვიდა მწუემსი იგი და უთხრა მდუდეულთა მათ.  
ხოლო მათ მხმობელი ახახეს, ვითარმედ უცხოებით მო-

სრულნი ნურღარა სადმე წარვლენ, რამეთუ სიფიქსიონი არს მეოხ ძათდა. ამასთჳს წარვიდეს და შთამოასუტნიეს სიფიქსიონი და არს მუნ მდგომარე სასაუბით მიმავალთა მეოხად და შაშითა და ლიტანიობითა სახილქელი.— კუხლად გუთხრობდენ ვითარმედ, აწ წარსრულან წელნი ექქსნი, რამეთუ იყო აქა სულიერი მამა მონახონი სასულით იოაკიმ, დიდი მოწულე გლახკათა, სნეულთა და უცხოთა შექმენარებელი, რამეთუ ტუქტა გამოისხინდა და სახურობილეთა შინათა ზედას-ზედა მოახილვდა და ნუბშინის-ცემდა; და უხეცბით გლახკათა და დავრდომილთა საფასეთა განუეოფდა, და არა დასცხრებოდა ქუცლისა-მოქმედებისაგან არა ოდეს და უკეთუ გარდახდის დღე ერთი და არა მისცის გლახკათა შესწუხნის თუიად და სტრემლეოდის. ხოლო გარდაცულებასა მისსა საკრქელად უდიდებია ღმერთისა, რამეთუ მიცულებულა რა მარჯუტნესა ხელსა ჯუარი გამოსახუა, და ხილუად მისსა მრავალნი ურიანი და თურქნი შემოკრებულან და უხილავთ საკრქელი ესე ხილუა.

ამად უამად ვერ მოგვრელთა ნავისათა მუნ, რათამცა წარვიმართენით იერუსალიამად, უმჯობესად აღვირიეთ და-ზამთრება მათ-წმინდად და მოვიკაჯრეთ ნავი და ძივან-დევით თავი უფალსა და წარკედით გამომსაღმებულნი ქრისტეანეთანი და გამოკველეთ მიტლინი და მივიწიეთ ნით ბოხჩადად (12), სადაცა ქართლისა კათალიკოზი დო-

---

(12) ბოხჩა და ეწოდება ტენეღოზისა ჭალაკსა, სადაცა თურქთა პატრიარქუტნის კეთალიკოზი დომენტი და სი-დგანცა გამოხსნილ-იქმნა დიდის-საფასის მიცემითა.—ათონისა მთასა ჩუქს ქართულთა მონასტერში კვბოვე სასარება ბურ-ბული მდიდრად ვერცხლით შეკრულია, რომელსა შინა თავს

მენტო ექსორიად ცხოვრებულ იყო და მოგვტეგებნენ ქრისტიანენი და გეჟიათხუდენ ამბავსა მისსა და მუნი-  
დგან შთავსებდით ნავსა. რამეთუ აღკვდვა ღელუბა

მწერს ესრეთ: «შევჴსჯირე წმინდა ესე ხანარება სახოს ჩქნს-  
«სა კა. ისლეთის-მშობლის ღავრასა სახად სელის ჩემისა  
«ბამაისნისათჳს მართლ-მადიდებელისა ქართულთ ეკლეს-  
«სიისა უფსოთა სთქისათჳს მონებინებან.—ჲე უადრუკას კა-  
«თალიკოზმან დამეტტი, ჟამსა ტუქსობის ჩემისა ბ.ახნადდს,  
«ბოქუნს წინდარს მამანო, მუქუნსო წმინდის დ.თის-  
«ადრჩეულისა სავანისა ლოცუბაჴყავთ ჩემ-ცოდულისათჳს»

სხუთა ამა დროთა მოთხრობათ ცნობისა მხურჭლენი წა-  
რკითხუტნს რუსულად აღწერილხა ჩემ-მეორ წიგნსა: *Историч. взгляд на восточные Грузию под властью царей Магметов стр. 82 и 83.*

სინოდის არსივთავან (ქ.ს. ი. პრѣзѣт въ Россію Груз. Патриарха Антонія. 1756 № 350) ჰხანან გრამატანი, წარ-  
დგენილნი მუნ განდევნილისა საქართულთ ლოდამ კათალიკოს.ს  
ანტონი 1-გან ბ მოწერილნი სილიბისტრესგან ანტიოხიისა ბ  
მართუნისაგან იერუსალიმისა პატრიარსთა. შირჭლდი 1 სვე-  
დუმბრიდამ 1749 წელსა სტამბოლთ აუწყებს ანტონის 1,  
«რომელ ბიძას მისსა კათალიკოს დომენტის 1739 წელსა  
მარტის 20 უხესხნია 4300 ლევი სტამბოლში (ლევი ანუ პო-  
ასტრი არის შაური ჩქნჩებური, ანუ 5 კოპეიკი თიორი ფული)  
ბ აქამდე არ მიცემულა ესე ვალიო. ამასჲდ თუთ იერუსალიმი-  
სა პატრიარსმან მელეტიმაც მოიწერა იმერეთშიათ ბ თუმცა  
გამოკტ ზაჴნათ აქა ფულთა, მაგრამ დიდად მცირედო. ოდეს  
ბანთაქისუფლდა დომენტით, მაშინ წერილიც მიჴსიცა ტენელას-  
ში: მაგრამ გაეზაჴნილ-მან იმერეთში (?). კაცმან კერა მიილო-  
რა. მხოლოდ სხსა სარწმუნოებისა კაცისა ხელითა ბ უჯა-  
ნათლებულესისა მეფისა დიკონის იოანეს მსატურისა კელითა  
გამოგხანა მან 17 კაცი ტუქს ურია ბ ერთი თასი ოქროსი,  
რომელიცა გაიხუდნენ 4,000 ლევად.—ესე ფული არა ექაჴა  
კულსათ: ამისთჳს, რომელ მას დომენტის კართა ფრანციის  
გაქარო ფული 5,500 ლევი ბ მათ წარიდეს ბ გირაოუბი»

ფრიადი და მივაწიენით ლემენად ჭალაკად <sup>(13)</sup> კვრია-  
კესა მდგრედელ-მთავრისა ლემენისა ჰართენისა და შეგვ-  
ტკობო ფრიადი და სადგურა განგვმზადა და ქრისტოანე-  
თადა ჰატოეგუმტეს და ჰარისპირ განგვსჭრადით მთა-  
წმინდასა და ვიხილეთ უაენისა შჯლი ცხვრ-მოკეცთილი  
თამაზისაგან: მუნ დაეუენებინათ თურქთა. ხოლო ნე-

---

ამა ვალისა მათთანვე დარჩნენო. — ეხრეთ ითხოვდა ჰატრი-  
არხი ანტიოქიისა, რათა გამოიხსნას სული განსწმენებულისა  
მისის ბიძისა.

მეორესა გრამატით, მიწერილი ჰართენისაგან იერუსალი-  
მისა ჰატრიარხისა 8 სექტემბერს 1755 წელსა ჰსთხოვს ან-  
ტონის 1 ესრეთ: წერილი მოიტანესო ქრისტეს საფლავისა  
აიხიმანდრიტა სჯომანს და მამა აკაკიმანს და ითხოვეს რომ  
ქალაქსა თფილისს გარდაცვალებულა ჭყარის-მამა არხიმანდრი-  
ტი ამბროსი და მოიძებნესო თუ დარჩა მას რაჲმეო, და გარ-  
და ამისა ითხოვენ რომ ვალი აღებული კონსტანტინოპოლუ-  
ში დომენტიანგან კათოლიკოსისა გარდაისადონო. ამაზედ  
წერილიც მოგვრთმევიან კელითა დანილ არხიმანდრიტისაო.  
ამა ვალში ჩუტნ არა რა მიგვლიაო, გარდა ძუტლის ბისონი-  
სა, რომლისაგ მარგალიტი გაიუიდა 300 ლევად და მესამედი  
არ ადგა ვალისაო. — იხებეთო ეს ფული არ დაეკარგოს სი-  
ღარბისა შინა მეოფსა ქრისტეს საფლავსა. ვაგზავნიო არა  
ხიმანდრიტს სჯომანს შეწევისა მოსგროგებულად ქართლში  
და მამა აკაკის ჭყარის-მამად. — შეუენი ქართულთანი ადრე  
ყოველთჳს გვგზავნიდეს შეწევისა, და აგერ 25 წელიწადიაო  
აღარას გზავნიან სანუგეშოდ წმინდისა ქალაქისა და არცაღავენ  
თქუტნგან მოსულაო. 3. ი.

<sup>(13)</sup> ლ ე მ ნ ს ჭალაკი, სადიდამაც ჰსჩანს მთა ათონისა  
მშუტნიკად. ბ. ი.



ბამან ღმთისამან მოგუტა ჭაეწი და შთავისხედით ნავსა და მიკედით მთაწმინდაჲ მმადლობელნი ღმთისანი, რომელმან დაგვრჩა უცხოებასა შინა ჩუენსა ყდჳსა ღელუათა და ხმელთა აშბახებათაგან. მისსა დიდება აბან.

მისჯულა მონასტრად საქართველოჲს კარისა  
ღუთის-მშობლად.

1.

აღვედით მთაწმინდათ კოშკსა, და ზღვთ ნავთ-  
საუედელსა რომლისაჲ მონასტრისისა ღამესა მას და  
წარველინეთ კაცნი მონასტრისა ქართველთასა და კა-  
ცნობეთ მისჯულა ჩუწნი. მჭსწრაფელ აღვემასათ ჯორნი  
და წარმოემართათ და აღვისხედით და წარვემართებით  
მონასტრად და ეამოჭსჩინდა ციხე და შენებულება მთა-  
ნასტრისა, და ისაღუჭბოდა ვითა ქალაქი მთასა ზედა და-  
შენებული; და მაკიახლენით რა, შექმნეს რეკა ზართა  
და მოგუჭგებენ სკოფაღაჲკე თეოკლატე და წინამძღუ-  
რი ნათანაილ და უმრავლესნი ღირსნი მამანი და მძა-  
ნი, ვგონებ სამასნი ოდენ და მოგუართუტს მდინარე და  
კუჭრთხი და შეკედით ეკვლესიად და თაუქანის-ვეცით  
ჯერისაებრ და იტყოდენ შეგჯწულენსა მეფეთა ქარ-  
თუტლათათს და ვამბობრეთ ურთიერთარს. შიგნიითი ეკვლე-  
სია ასე გუჭრეცხაჲ, კნანდა აიამონის ეკვლესია  
დაგუჲვიწუა. რომელმან ხელოვანმან მოქსოვა ათრანგნი  
ხავედნი, ვითა ამა ეკვლესიასა იატაკნი ჩაწყობილი-იყო  
ფერადითა ისპითა და ეშმასა ქჷთა. რამეთუ აღუშენებოა  
გიორგი მთაწმინდელსა მეფისა ბაგრატ კურაპალატის სა-  
ფასითა და გუმბათის ჩამოსწორივ სინათ მოხუჭულს  
ნახჩხედ ეწერა: გიორგი მღუდეღე-მონაზონი ქართველი.  
სხუასა ამას ვიტყოდით, ვითა რეკა მეჯანდრაკესა აჩუტ-  
ნებს სულსა, ვერეთ მუნ იატაკნი აჩუტნებენ დღესა-  
სწაულსა, სადა სკურთხნი ჰურნი ჯერარს დადგომად,  
სადა სისანთღეთა დადგომა, სადა მღუდეღეთა და დია-

კონთა დგომა, სადა ისოდაა მღრღელოთ განწყობა. კუ-  
დელნი აქენ მარმარილოსა წმინდისა და ქაშანურისანი;  
კანკელი უცხო უშავილებითა და ხრახნილებით ოქრო-ცუ-  
რჭებულნი; საღვინებელი საკურთხეველისა, ხარისხი წი-  
ნამძღვრისა ოქრო ცურჭებულნი; უცხონი ფანჯარანი  
თუთო სახისა მინისანი უშავილებად მოჭრილნი; დიდი  
პოლიელეო და ხომლნი და ქორო-კანდელნი ჭიქისანი  
და ვერცხლისანი უცხონი, რამეთუ განსაკურჭებელ იყო  
მშეჭნიერება ცადრისა მის და გოისა ცადრისასა სა-  
მარხო ლესკუბა დირსთა მამათა ჩუჭნთა: ეკთიმისი, იოა-  
ნესი, მამისა იოანესი და გიორგი მთა-წმინდელისა, კან-  
დელთა ნთებითა პატრიოსნად შემკული. ხოლო გარეთნი  
მრჩობლ-კეცნი კარისა-ბჭენი და გაღავანნი, და სხუა ზო-  
გი შენებულება აღუშენებია თორნიკესა: იტყუან ამისსა  
ქსნის ერისთავი იუ.ო. (14). ე'ე თორნიკე უთფილს

(11) თორნიკისთვის აღუჭყწერე მცირედ რ. კრ. *история*  
*Груз. церкви* изд. 2 e ctp. 62. — მისთვისვე ვიტყვ ამხტა.  
რომელ მოიხსენებს მას ბერძენთ მიხილორიე ზონარასი *Том.*  
*2. Page. 251*, რომელიცა ჰსცხოვრებდა 12 საუკუნეში და იყო  
ახლონი მედროვე მასა. სიტყუსა-იუბო მისინა ოდეს ღეონ  
პატრიკი განაგებდა ივერისა ანუ საქართველოსა მუშინ განუ-  
ხდდა აღმოსავლეთისა ნაწილი ივერისა ესე იგა არტაანი და  
სხუანი ბერძენთა უფლებიანა. და ოდეს ბერძენთა, დროსა  
მეფობისა მათ ზედა გეიხრისა კონსტანტინე მონომახისსა  
(მეფობდა 1042—1054), ჰსცნეს ესე და დაჭხწამეს მას ბოროტო  
მოხმარება კელმწიფებისა მისისა ქართულთა ზედა, განაშო  
შულებს იგი მოთჯრობისა პატრიკისგან და აიძულეს, რათა შემ-  
დგარ-იყო მონომახისად.

Is Leo cum iberiam gubernaret, affectate tyrannidis accu-  
satus magistratuque spoliatus, rursusque vitam monasticam  
agere iussus erat.

სპასილარი ქართლის სახელგანი და ძლიერი ბრძოლასა შინა. ამასს შემდგომად უჯმნია მსოფლიათა დიდებათაგან და მოსულ-არს დას-წულისა თვისისა კეთიმი ქართველსად და მანახონ ქმნილა. თორნიკეს აქეთ არიან წელნი წარსრულნი 748 (15). ამას ჟამად მეფეც ცხოვრებულა ქართველთა ზედა დავით მეფე, და ბერძენთა ზედა მიხაილ. იყო რა იგი წლიხა მუდისა და განაგებდა სამეფოს მას ავსტანს დედა მიხაილისა თეო-

ამისა მესტავისადე ქსეწერს კეღრინი, მეისტორიევე ბერძენთა. რომელიცა ჰსცნოუბოდა XI საუკუნეში.

ამას თორნიკი მრავალი დაქსდუა ღუაწლი აღშენებაზედ ათონისა მთასა ქართველთა მონასტრისა ჰ მისსავე დროსა გარდაიღებულ იქმნა ბერძულითგან ქართულად დაბადება. — 1849 წელსა. ჟამსა უოყენისა სკიისა ათონისა მთასა, მოვჰსთხოვე მოასტრისა მათა დაბადება ესე დაწერილია ორსაწილადი ტყავზედ 1078 წელსა ჰ მოვიტახე თფილისს გარდასწერად. — ერთი გარდაწერილი აქა თფილისს ამას სამდელიდამ ეგვიპტელთა რი ასლავს აწ უგანათღებულესსა მინერულიხა მთავარს და უიოს დეახინის-ქეს დადასს ჰ მეორე ეგვიპტელთა უქაზითა საქართველო-იქერიეთის სინოდის კანტორისა 7 სექტემბრისა რიცხვით 1851 წელსა № 3238 ვარდაცა დასცემულად საგა თედროს სიონის ეკკლესიასა შინა.

არა არს საუკუნო, მიხედვით ცნობისა, რომელ თორნიკე იყო მთავართა შვილი ანუ მთავართაგანი არტანუჯის ქუჭყანისა, ძუჭლად საქართველოს ნაწილისა, რომელიცა მისს დროს ეპურათ ბერძენთა.

თვით წმინდა კეთიმი მთარგმნელი, ასლო ნათესავი თორნიკისი იყო ქუჭყანით არტანუჯით ჰ ძე მთავართა ამას საქართველოს ნაწილისა, როგორც ჰსწანს ცნოუბოდა მისისა.

ვ. ი.

(15) წელიწადი ესე დაუსწამს მწერალსა შევთობით. რადგან მოცხადებოდა მასი იყო წელსა 1755-სა ჰ ჟამსა თორნიკისა

დარა, მაშინ სპარსნი ამხედრდეს და მიიწივნენ ვიდრე ბრესადმდე. დედოფალმან თეოდორა სსჳა ღონისძიება კერა ჰყოვა: თორნაკ უოთელი იოანე მონაზონი ქართუჭელი აწვეს სპასალარად კონსტანტინოპოლედ. არა ენება მას წარსულა, არამედ მამისა ეკთამის შენდობით წარვიდა, და აღხადეს მონაზონების სახე, და შემოსეს მხედართა და მოერთო სპანი საბერძნეთით და საქარ-თუჭლოთ და ბრძოდა სპარსთა და მძლე ექმნა მათ და დევნა უყო ვიდრე შუა სპარსეთამდე. და იავარ ჰეოიანი და განმარჯულებული შემოაქცა კჳელად კონსტანტინოპოლედ და კჳელად აღვიდა მთა-წმინდად და იქმნაკე მონაზონ.

აწ ამას კიტყოდეთ, განვიცადე რა მშენებურება ხეხალთა, კენახთა და წყარო-წყალთა და ედემურობა ადგილისა მის. ამას მონასტერსა შინა ნათლის-მცემელის ტაძარია ეკთამისაგან აღშენებული ოთხს მწუნე არღავნის სჳეტხედ. ოდეს წმინდას ათანასის ლავრადამ გაპოვიდნენ, მაშინ აღაშენეს სსჳა გუმბათიანი ტაძარი ჰორტატიისა, განახლებული ამოათანის მიერ მუხრანისა ბატონისა.

აწ ჰორტატიისა ღუთის-მშობლისათჳს კიტყოდეთ, რომელ არს კარისა ღუთის-მშობელი; რამეთუ იტყოდენ

---

ცხოვრებისსა კეიხრობდა საბერძენთს მიხაილ VI ხსელწოდებით სკრატოტიკე და რომელმანცა იმეფა წელსა, 10<sup>6</sup>6-გან ვიდრე 1057-დამდე ამისთჳს წელნი წარსრულნი თორნიკედამ იქმნებოდა მოგზაურობისა მისისა წელსა, არა 748 არამედ 698; ხოლო დღემდე ჩჳწნისა 1852 წლისა იქმნება 796 წელი.

კითარქედ უამს თეოფილე მეფისა ბერძენთისა, ოდეს  
სმულობდენ თაუქანის-ცემასა ხატისასა, და კერპთ-მსა-  
ხურებად შერაცხდენ, და დევნულებს აღძრეს ფიცხელი  
ხატათუსი, მაშინ მალე მსრბოლი წარივლინა მეფისა  
ძიერ ქალაქსა ნაიას სსქმასა რამათუსსმე, და მისრული  
იგი შევიდა დავანებად დედაკაცისა ვისიმე ქმრისისა სხლსა,  
რომელსა აქენდა დაფარვთ ხატე უოკლად-წმინდისა.  
ხოლო ახლას რა მალე მსრბოლმან ხატე იგი, განრისხდა  
და ისადა მახელი, მსცა ზირსა ხატისასა, და გარდა-  
მოეცა სისხლი და აღუესო წიადი კაცსა მას; ამის-  
ოჯსცა შემანებული ივლტოდა აიერ, და ქმრისმან მან  
შემანებულმან, ნუ უკაც სსცნაურ იქმნას, აღილო ხატე  
იგი, და მთავადო ზღუდა. ხოლო ამისა შემდგომად გა-  
მოჰმჩინდა ხატე იგი ზღუდისა შინა ზირისა-ჰაზ მთა-წმინ-  
დისა, რამეთუ იხილუშობდა მოებარის ცეცხლისა სსხედ  
მრავალ-უამ; ამისთვის შემოკრბეს წმინდანა მამანი მთა-  
წმინდისანი და იტეოდეს, რამე იუოს მთებარე წყალთა  
მთ შინა; ამისთვის მთაყარნეს ნავნი, და მიივლტოდეს  
ხილუდა მისსა, და რაყამს მიასლნეს ნავნი მთებარესა  
მას. შორის განივლტოდას ბრწყან-რბება იგი მათვან  
და იუქენ მუქუნ-რბე. ამისთვის მაშინ ისმა ხმა რამე,  
კითარქედ გაბრიელ ქართუშლი-არს გამომეყანებელი ხა-  
ტისა უოკლად-წმინდისა ღირს; მაშინ მივიდნენ მონას-  
ტურისა ქართუშლთასა და იკიასხდენ, თე ვინ არს გაბ-  
რიელი; მსმებნეს და მხოვეს მთათა შინა დაუედებელი მო-  
ნაზონი გაბრიელი და შთასუშეს ნავსა და მიასლოვდენ რა,  
ცეცხლ-მგზებარეცა იგი მოკახლებოდა, და მოვიდა გაბრიელი  
და აღმოსაშენსა ხატე უოკლად-წმინდისა ზღუდათა შინა.  
“ტყუან იგერხითა კიდოდა. და ჰსიქესა სსამ-შაბათსა

ჭექსს ლატანია და კედრებს და დარჩა მონასტრისა ქართუჭლოთსა და დასუჭნეს ტაძარსა მონასტრისსა. ესრეთ გვოსრობდენ და თქმულისაებრ მათას ადვსწერეთ. კქსლად ატყუადენ ვითარმედ, ხატია იგი მაივარულ-იქმნა და მიეხასა შანს ვერ მპონელი, ადვიდეს სენაკისა გაბრიელისსა და აწუეს უჩინოქმნა ხატისა მის; ხოლო გაბრიელ ეტყუადა, ვითარმედ არა არს ნება ყოვლად წმინდასა, რათამცა დაკრძალულსა შანს ესუჭნოს ხატია მისი; არამედ მოავლინა ხატია თვისი, რათა კართა ზედა დასუჭნებულთა უკელნივე კედრებოდენ და თაყუჩანას-მსტემდენო, და წარმოასუჭნეს სენაკათ გაბრიელისით და დასუჭნეს კარისაბჟესა შანს; ამასთჳს კარისა ღუთის-მშობელი უწოდეს (16). ამას შემდგომად მოუჭუდათ მძამედ სათბავსა და ამირსპასალარსა სამცხისსა ჯაყულ-ცხისსა ვაჩრელსა უაჩრუჩარე სათბავისა-მესა ქახოსროს დედის იმედას მეხრანაბატონის ასულისა-მესა (17); მე

(16) სწულსა ჰ ყოვლადსა მოთსრობისა ესე ვითარისა აღწერასა მსუჭრებლნი წარბიკითსუჭნ მასითსტოვრებაში რუსულად: Чтение Минеи 16 Августа ჰ ხსლად დაბეჭდილს რუსულად წიგნში: Сказание о Чудотворной Шверской ико-ны Божией Матери соч. Графа М. Толстаго М. 1847.

3. ი.

(17) ზედა წერილი ხატისა ამის არს ესე:

«დედოფლო დედაო კაცთ-მოუქარისა ღუთისა, ყოვლად «უბიწოთა ქალწულია მარიამ შეიწუაღე სული პატრონისა ჩემისა დიდისა ეწარუჭარას შჯღისა ქახოსროსი ჰ მე მონა «შენი ჰ ეოვლითყოთ უღანო-ქმნილი სიბრალა ამბროსი აგმადლობ, რომელმან დირს-მესეკ უღირსი ესე მოტეაღეს ჰ «შემკობასა წმინდასა ხატისა შენისასა პორტაიტისა ჰ შეი-«წირე მცირე ესე ჩე-ცოდელისა მიერ კადრებს ჰ დაიცეე ანგმეტი ცს-გუქიბისა ჩემისა უჯადუჭლად ჰ ჟიასა სწუალობუ»

ეგრე კჭგონებ წმინდისა ქეთევან დედოფლის დის წულას და კარზედ ხატისათჳს გუმბათიანი მტარე ტაძარი აღუგია აშოთან მუხრან-ბატონსა. თუთონაც შიგ ხატია და მე მისი იესე თან უხატია მალა.

ამან იმრავალ-იმოწუალევა: ჩემ-ჩუდა და მაკრდომა ჩემი ჯერ ირინა სახიერებისა გარდამატებულებათა, და მე ტომთუ უფროსად მდაბალი დარს-ვიქმნებოდი სამარად ხანად მათ-თანა, ზოგად ცხოვრებულებასა და ღოცებსა და აღსარებასა ბაგეთსა, ზიარ და უკლებელად ჰერის-მტედ და ინახით ჯდომასა მონასტრისათა მათ. ესე ახარებდა სულსა ჩემსა და მშდობასა შეკვირვდი ღვთის-მშობლისა მიმართ ქალწულსა სასოჲს ყოველთა ქრისტიანეთასა და უმეტეს ნათესავისა ქართულთასა, და განცუფებულ-იყო გონება ჩემი, ამისთვის თუ ვითარა მე ცოდვლი და უმეტეს საქართულთა კაცთასა ბრალეული მიმიწოდა აქა და გზათა სულსა შინა შორეულთა, და ზღკათა ღელკათაგან უგნებელად განმარინა, და არა უღირს ირინა ბრალეულისა ამის აქა აღმოწოდება, და დირს მარინა დირსთა მამათა ჩუტნთა ქართულთა ჳარნახულსა და ტკივილ-მოყურებით და რუდუნებით ნაღუწსა მონასტრისა აღრაცხუა ჩემი, რომლისაგან გა-

---

«ღის სულისა ჩემისა განხულისასა შემეწიე ჳ შინო ჳეჭნ  
«ყოველივე ცოდუათა ჩემთა კელიოწერილინი ჳ დასადგინე  
«ცოდვლი საუდართა მისა ჳ ღვთისა შინისათა ჳ ყოვლად-  
«წმინდისა თანადუსაბამოსა მამისა მისისა ჳ ყოვლად-წმინდისა  
«სულისა, აწ ჳ მარადის ჳ უკუნითი უკუნისამდე. ამინ.»

სსუათა ძიებათა ჳ ყოვლადსა გამოკულებით ათონის-მთის ქართულთა მონასტრის აღწერასა, შემზადებულსა რუსულსა ენაზედ, ვიქედუელე მალე დაკბეკლო.      ჳ. ი.



ნათლდა საქართველო წიგნთა თარგმანებითა. უკეთუ უნარჩევებისა მასისა სათნო აყო აქა მოკრძობა, რადე უმეტესად მსონდეს მეუფის სულიერთა საქართველოთა მამათა აქა აღმოსულა, რომელთა სრულიად დაკაწეებისთ დადებული ესე ადგილი და არღარავინ არს მოწადე აქა მოსულად; რამეთუ აღმოვიკითხევდი რა მუნ წერალთა შინა მუჭლთა, ეწერა, ვითარმედ მამა-ევთიმი ქართველი სნეულობდა მწოლარე ცხედარისა ზედა და ერქვნა დედოფალი ღუთის-მშობელი და ეტყოდა: რასა ურჩულხარ, ევთიმი, და მიმკებელი ევთიმი ეტყოდა: სნეულვარ უოლად-წმინდა დედოფლო მამათა რათამე სუნითა. ამისა შემდგომად დედოფალი ეტყოდა ქართულითა ენათა მზრახუჭლი: აღმსდგე ევთიმი და იწუე ქართულად, რათა განიკურნო ცხედრისაგან საღმობათასა. ზრახუნად მამინ მწსწრათელ აღმსდგა ევთიმი და დაკაწებოდეს ენა ქართული, არამედ ესოდენ ვრცელად იწუე ქართულად ზრახუნად რიტორებად, ვითა ომიროს უსწრობა და სიმარჯვთა ენისათა, და მამინ განმარტა ლექსი ქართული, და იწუე თარგმანებად წიგნთა მრავალთა. იხილე თუ რადეინი ცხადი სასწაული ჩქინებულ-არს ქართველთა შეწვევისათა და სიუჟარელი წმინდისა ღუთის-მშობლისაგან, მისდა წილ-ხდომილთა ერთათა; ვითარ იგი ზემორე ხატისათა გესმა. რამეთუ არა მივიდა სხვისა მონასტრისა, არამედ ქართველთასა ხელითა ვაბრილ ქართველისათა (18).

---

(18) გაბრიელ ქართველი იღუმინა პირველ მთასა ზედა მწუჭრულსა დიონისიეტის მონასტრისსა, რომელიცა შორავს ქართველთა მონასტრიდამ მთით კერძო ექსისს საათის საკალით.

კებალად მომეხსენების წერილი ქართლას-ცხოვრებასა შინა, იტყუადეს რა, ვითარემდ მეფემან სპარსთმან აწვა ლაშქარად ქართველნი და რაჟამს ვიდრედ გზასა სპარსთა, დამესა ერთსა დაკლულ იქმნა მეფე სპარსთა; ამისთვის ცილი მსწამეს ქართველთა, ვითარემდ მათ ჭეჭესო, და შეაპყრეს ერთობამად ქართველნი, და ენებათ წარკვძთათა. მამინ ლეწმობანიტ გამორბოდა კაცი ვინმე,

